საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 19 ნოემბერი, 2021 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/12

სტუდენტთა პრაქტიკის შესახებ დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე და 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ე.მესხიას აკადემიური საბჭოსადმი მიმართვის (N168, 11.11.2021) საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სტუდენტთა პრაქტიკის შესახებ დებულებაში და დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სტუდენტი პრაქტიკას გადის კერძო ან საჯარო სამართლის დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, რომლებთანაც ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ან ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

პრაქტიკის დაგეგმვის დროს უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს პრაქტიკის ობიექტში სტუდენტთა მაქსიმალური ოდენობა: თეორიული მიმართულებით არაუმეტეს 10 სტუდენტისა, საშემსრულებლო მიმართულებით არაუმეტეს 20/30 სტუდენტისა ერთი სემესტრის განმავლობაში. პრაქტიკის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს სასწავლო კურსით დადგენილ ვადას. პრაქტიკის კონკრეტული ვადები განისაზღვრება მხარეებს შორის მოლაპარაკებით უნივერსიტეტის შესაბამისი წერილობითი მიმართვის საფუძველზე.“

2. ცვლილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჭიჭილეიშვილი**